№ 159

ოთხშაბათი 28 ივლისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 159

ოთხშაბათი, 28 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**არქიმანდრიტი დოსითეოსი**, გულითადის მწუხარებით აუწყებს-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა თვისის ასულის

## სოფიოსას,

სთხოვს მობრძანდნენ კუკიის სასაფლაოს ეკკლესიაში წირვა-ანდერძზედ დასასწრებლად ხუთშაბათს, 29 ივლისს. მიცვალებულის გვამი იქვე იქნება დასაფლავებული. (1—113—1)

## მგზავრთა საყურადღებოდ

ახლად დაარსებულ იქმნა ქართველ მგზავრთათვის

ს ა ს ტ უ მ რ ო

## „ა ბ ა შ ა"

ტფილისს მეჯრე მალაკნის ქუჩაზედ.

ეს სასტუმრო ძალიან კარგსა და მარჯვე ადგილას არის: ტფილისის რკინის გზის სადგურის მახლობლად; სწორედ კარებზედ უვლის ავჭალის კონკა.

ოთახები საუცხოვოდ არის მორთული და მოწყობილი.

**ფასი მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:**

დღეში **60** კაპეიკიდგან **1** მან. **50** კაპეიკამდე. თვეობით უფრო იაფად.

(10—97—6) დავშთები მარად პატივის მცემელი **ნიკო თოფურია**

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ახალი ამბავი

*** ხელმწიფე იმპერატორმა ტფილისისა და ახალციხის ქალაქის საზოგადოებათა-მიერ მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარების გამოცხადებისათვის უმაღლესად ჰბრძანა გულითადის მადლობის გარდახდა.

*** 1-ლ აგვისტოს, საქართველოს ექსარხოსის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესის ფლაბიანეს ბრძანებით, მოხდება წყლის კურთხევა ტფილისში. ღვთის მსახურებას ამ შემთხვევის გამო შეასრულებს ყოვლად სამღვდელო ლეონიდე.

*** ტფილისის გუბერნატორი პოლკოვნ. ი. ნ. სვეჩინი და გუბერნიის მკურნალი ტ. ს. ქიქოძე დღეს დაბრუნდებიან ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებიდგან.

*** მიწად-მოქმედების სამინისტრომ ნება-დართო დაარსებულ იქმნას ტფილისის საბოტანიკო ბაღთან მუშა-პრაქტიკანტთა სკოლა, რომელსაც საგნად ექმნება ხეხილისა და სხვა სასარგებლო მცენარეთა მოვლა-მოშენების მცოდნე კაცთა მომზადება ყოველ ორ წელიწადში.

*** როგორც ამას წინად მოხსენებული გვქონდა, კავკასიის საინტენდანტო უწყებამ წინადადება მისცა ადგილობრივ მემამულეთ, ჩვენის სასურსათო მაღაზიებისათვის პური მოგვაწოდეთო; ამ წინადადებას, როგორც ისმის, უნაყოფოდ ჩაუვლია და კავკასიის ოლქის საინტენდანტოს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს ვოლგის გუბერნიების ერობასთან იმ გუბერნიებიდგან პურის დასაბარებლად.

*** მიწად მოქმედების მინისტრის წინაშე შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ შესდგეს მეაქციეთა ამხანაგობა შავი ზღვის პირის გუბერნიაში ქვანახშირის საწარმოებლად.

*** ფინანსთა მინისტრმა გამოუცხადა სენატს განკარგულება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდების შეცვლის შესახებ.

*** ამ ჟამად სათანადო დაწესებულება საგუბერნიო და საოლქო მთავრობათაგან ცნობებს აგროვებს კავკასიის გზატკეცილების შესახებ. ეს ცნობები შეეხება საჭელდობრ იმას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება დღეს ეს გზა-ტკეცილები, რა ზომები და საშუალებანია საჭირო გაფუჭებულ გზატკეცილების შესაკეთებლად, რომელი გზები უნდა გადაკეთდეს გზატკეცილებად და სხ.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებამ შეიმუშავა პროექტი ქუჩებისა და მოედნების გასაწმენდად ეტლის გამართვისა და მუშათა არტელის შედგენის შესახებ. ამ პროექტით სახლის პატრონებმა ქუჩა-მოედნების დასასუფთავებლად ფული უნდა გაიღონ.

*** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოში ხელ-მეორედ აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დაწესებულ იქმნას ზედამხედველობა რძის ნაწარმოებსა და სარძეო დუქნებზედ.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდ. აღმასრულებელმა წინადადება მისცა ყველა ბოქაულთ, ზომები მიიღეთ, რომ სასმელებისა და სხვა-გვარ დუქნებში არ იცხოვრონ უზნეო ქალებმა, ამისათვის დაავალეთ ნაწილის ზედამხედველთ ყოველ დღე დაათვალიერონ ხოლმე ეს დუქნებიო.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, როგორც ისმის, გამოუგზავნია კავკასი-

## ფელეტონი

### განქიქება და განმარცვლა

II

ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე.

„დავითნი".

(შემდეგი *)

დიაღ, უწიგნებოდ არა რიგდებოდა-რა, დიდი სასწაულებიც ვერ ჰხვეშავდნენ მეფეს.

ეს, ესეც რომ არ იყოს, როგორ დავიჯეროთ, რა სათქმელია, საქართველოს ურიებს თავისი წიგნები არა ჰქონოდათ, თავისთან ერთად არ მოეტანათ თვისი უსაღმრთოესი გარდმოცემანი, თვისნი საგალობელნი.

როგორც ქართლის ცხოვრება გადმოგვცემს, ურიანი საქართველოში შემოსულან ნაბუქოდონოსორის ჟამს (604—581 წ. ქრ. წ.). ამ ნაბუქოდონოსორმა რომ წარმოტყვენა იერუსალიმი (586 წ. ქ. წ.) და მრავალი ურია წაასხა ბაბილონს, მაშინ იერუსალიმიდგანვე გამოიქცნენ ქართლს მრავალნი ურიანი. მცხეთელ მამასახლისმა „მისცა და დასხნა იგინი არაგვსა ზედა, რომე აქვიან ზანავი" (გვ. 25).

უკანასკნელი რაზმი ურიათა საქართველოში მოვიდა 70—79 წლებში (ქრ. შ). უესპასიანო კეისარმა რომ წარმოტყუენა იერუსალიმი, „მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასახლდეს მკვიდრ მოსრულთა ურიათა თანა, რომელთა თანა ერთნეს შვილნი ბარაბასნი, რომელი ჯვარცმასა უფლისასა განუტევეს ურიათა" (გვ. 47).

რომ უცხოეთში გადახვეწილ ურიებს თან მიჰქონდათ თვისი საგალობლები (ან როგორ შეიძლებოდა, რომ კაცს უცბად დაევიწყა თვისი უწმიდესი გულის ხმა, თვისი კვნესა, თვისი სალოცავი!), ამას ცხად ჰყოფს 136 ფსალმუნი, რომელიც შედგენილია ანუ თვით ბაბილონის ტყვეობაში მყოფობის დროს და ანუ მის შემდეგ სამშობლოში დაბრუნების უმალ **).

> 1. მდინარეთა ზედა ბაბილონისათა დავსხედით და ვსტიროდით, რაჟამს მოვიხსენეთ ჩვენ სიონი.
>
> 2. ძეწნთა ***) ზედა შორის მისთა დავკიდენით საგალობელნი ჩვენნი.
>
> 3. მუნ გვკითხვიდენ წარმტყვენლები სიტყვათა მათ „ქებათასა („словъ пѣсней") და წარმყვანელნი ჩვენნი გალობასა: „გვიგალობდით ჩვენ გალობათა მათგან სიონისათა",
>
> 4. ვითარმე ვჰგალობდეთ გალობასა უფლისასა ქვეყანასა უცხოსა?
>
> 5. უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ, დაივიწყენ მარჯვენეჲცა ჩემი.

რათ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენსა გარდმოხვეწილნი ურიანიც ამასვე არ იტყოდნენ, ასრევე არ იწუხებდენ, მაყურებელნი თვისთა „საგალობელთა" და „ქებათა", მომგონებელნი თვისს საყვარელ სამშობლოისა, დიდებულის იერუსალიმისა!

და აკი არც ივიწყებენ. როგორც გადმოგვცემს ჩვენი მატიანე და ჩვენი „მოქცევაჲ ქართლისაჲ", აქაური ურიებიც არ სწყვეტენ კავშირს იერუსალიმთან, მასთან მიწერ მოწერა აქვთ, გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებენ ახლად მოვლენილ ღმერთ-კაცის საქმეებს, იქ მიდი-მოდიან, იქაურ წიგნებსა და საგალობლებს ჰკითხულობენ და სწავლობენ.

თუ უარს ვერ ვყოფთ, რომ საქართველოს ურიები სწორედ ზემოხსენებულ ჟამს გადმოსახლებულან ჩვენს ქვეყანაში, *) იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ აქ გადმოხვეწილებს უეჭველად ექნებოდათ თავისი სამღვდელ-მოქმედო წიგნებიცა. ურიებს უწინარესს დროებშივე გაწყობილი ჰქონდათ წეს-რიგი თვისის წირვა-ლოცვისა. საცა მიდიოდნენ ან საცა გაიტყორცნიდა მათ ბედ-უკუღმართობა, იქ იგინი თავის სჯულს არ ივიწყებდნენ, თავის ლოცვა-წირვას ასრულებდნენ. დანიელი და მისნი მეგობარნი იმისთვის დაისაჯნენ, რომ მტკიცედ ასრულებდენ მშობლიურს გადმოცემებს. მაშასადამე, საგონებელიც არ არის, რომ ესეთი მტკიცე ხასიათის ერი მარტო ჩვენსა მყოფობისას უღალატებდა თავის სალმთო მოვალეობას.

პირ-იქით, ჩვენში მათ ჰყოლიათ თვისი მღვდლებიცა, მწიგნობარნიცა და თარგმანნიც.

აი სიტყვები „მოქცევაჲ ქართლისაჲ".

„ოდეს იგი მეფობდა ჴეროდე, მოგუესმა აქა, მცხეთელთა მკჳდრთა, ბოდელთა მღვდელთა, კოდისწურთკელთა მწიგნობართა და სოზის კანონელთა თარგმანთა"... და სხ.

მაშასადამე, ურიებს აქაც ჰყოლიათ ისეთივე სასულიერო წოდება, ვითარიც იყო მათს პირვანდელ სამშობლოში. მათი სალოცავი სახლი (ბაგინი) იყო მცხეთას, „ქალაქსა შინა დასავალისა, კარსა მოგვეთისასა, მტკვარსა ზედა; აქა იყო მცირჱ ბაგინი, სამარხოჲ მათი, რომელსა ზედა ალმართა წმიდამან ნინო ჯვარი ქრისტესი" (გვ. 53). ამ ბაგინის კარსა ზედა იდგა ხე ერთი, რომელი განაშვენებდა ადგილსა მას, რამეთუ გარდაერთხნეს რტონი მისნი ყოველსა მას სტოვასა ბაგინისასა". მრავალი ურია გაუწყრა აბიათარ მღდელს გაქრისტიანებისათვის, იგი ხე მათ მოსჭრეს და მცხეთიდამ წავიდ-წამოვიდენ, მხოლოდ ბარაბანნი მოინათლნენ (50 სული) და მცხეთაშივე დარჩნენ. მეფემ მისცა მათ დაბა ციხე დიდი" (გვ. 55)

ეს ამდენი ურია რომელ ენაზედ ასრულებდა თავისს წირვა-ლოცვას, რომელ ენაზედ ჰგალობდა?

მივიღებთ რა მხედველობაში, რომ იგინი სცხოვრობდნენ საქართველოს დედა ქალაქში, რომლიდანაც 30,00 სულამდე მეომარი გამოდიოდა იმ ძველ დროს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყველა აქაურ ურიას ეცოდინებოდა ქართული ენა და ამ ენაზედ ექნებოდა გაწყობილი უმთავრესი ლოცვები მაინც, თუ არა მთელი წირვის წესი, და თუნდაც ეს ასრე არ ყოფილიყო, მაინც წარმოუდგენელია, რომ ამ ურიების პირით რაოდენათმე არ გავრცელებულიყო დავითის ღვთიური საგალობლები-ფსალმუნები. „დავითნი" ხომ, როგორც თავშივე ამოვწერეთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ-დამ და როგორც საგულე-

*) იხ. „ივერია" № 158.

**) Свящ. Н. Вишняковъ. О происхожденіи Псалтири, გვ. 462—467.

***) ძეწნი რუსულად „ვერბა".

*) რომ ურიები მართლაც სახლებულან მცხეთაში ძველის-ძველ დროს, ამას ამტკიცებს სამთავროს საფლავიდამ ამოწერილი ქვა ებრაულის წარწერით: „ესე არს საფლავი ძვირფასის მამის იეგუდისა, რომელსაც ეწოდებოდა გურგ. მისი განსასვენებელი იყოსმცა წმიდათა თანა, მისი აღდგომა მართალთა თანა". (იხ. ხვოლსონის Сборникъ Еврейск. надписей. გვ. 130).

აში ადგილ-მამულების მოსაწყობ მუშაობათა დასათვალიერებლად და დასაჩქარებლად რევიზორი დ. ს. ს. ბელენკოვი.

*** კრწანისის დღეობამ 26 ივლისს მრავალი ხალხი მიიზიდა კრწანისის ველზედ.

*** 26 ივლისს, დილის 4 საათზედ, იარმუკაში, „სლავიანსკის ნომრების“ მახლობლად, ქვა-ფენილზედ გულ-წასული უნახავთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ქრისტეფორე ნიკოლოზის ძე უღრელიძე. უღრელიძე თიბათვის პირველ რიცხვებში ჩამოსულა ქუთაისიდგან ტფილისში და მას აქეთ აქა სცხოვრობდა თურმე; ჯერ ალექსანდრეს ქუჩაზედ, შემდეგ, ამ ერთის კვირის წინად, „სლავიანსკის სასტუმროში“ გადასულა. ეს რამდენიმე ხანია უღრელიძეს სულით ავადმყოფის ნიშნები გამოაჩნდა თურმე. ამ ბოლოს დროს ხომ სულ აღელვებული და აშფოთებული დადიოდა და მუდამ იმას იძახდა, რომ ყველანი მტრობენ და მდევნიანო. უღრელიძეს თან თავისი შვილი, 8 წლის ბავშვი ჰყოლია. 25 ივლისს, საღამოთი, ბავშვი დაუძინებია, ხოლო თვითონ წერილის წერას შესდგომია, მაგრამ, როგორც ეტყობა, არ დაუმთავრებია იგი და დილის 4 საათზედ სასტუმროს მეორე სართულის ფანჯრიდგან გადმომხტარა. იმავე დღეს დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ვეღარაფერი უშველეს. გუშინ, 27 ივლისს, უღრელიძე გარდაიცვალა.

ქ. ნ. უღრელიძე ესე 45—50 წლის კაცი იქმნებოდა. სწავლა სასულიერო აკადემიაში დაამთავრა. მსახურებდა ჯერ გორის, შემდეგ ტფილისის სასულიერო და ტფილისისავე დედათა საეპარქიო სასწავლებლებში, და ბოლოს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. განსვენებული 20 წელიწადი მეტი ასრულებდა მასწავლებლობას. დარჩა განსვენებულს ცოლი და სამი შვილი—ერთი ვაჟი და ორი ქალი. კარგა ხანია განსვენებული ცოლთან აღარა სცხოვრობდა. ქ. ნ. უღრელიძეს არავითარი ქონება არ დარჩენია.

განსვენებულის გვამს დღეს, 28 ივლისს, დაასაფლავებენ.

*** ქ. სიღნაღი. ბლაღოჩინს დეკანოზს მ. სვიმონ ბეგიევს წელს შეუსრულდა თხუთმეტი წელიწადი ბლაღოჩინობის თანამდებობის ასრულებისა. რაკი ამ ხნის განმავლობაში მას ბევრი რამ სასარგებლო საქმე გაუკეთებია და კეთილი განწყობილება ჰქონია სამღვდელოებასთან, ამისთვის ამ უკანასკნელთ გარდასწყვიტეს მიერთმიათ მისთვის პატივის-ცემისა და მამობრივის სიყვარულის ნიშნად გულზედ სატარებელი ჯვარი. საერთო გარდაწყვეტილების თანხმად, სამღვდელოებამ მიჰმართა თხოვნით მისს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს ფლაბიანეს, რათა მას კეთილ ენებებინა და ნება დაერთო სამღვდელოებისათვის აესრულებინა თვისი გარდაწყვეტილება დეკანოზ მ. ს. ბეგიევის 15 წლის ბლაღოჩინად ნამსახურობის საიუბილეო დღესასწაულისა და ჯვარის მირთმევის შესახებ, რაზედაც ჯეროვანი ნებართვა მიიღო. საიუბილეო დღედ და ჯვარის მისართმევად დანიშნული იყო 18 ივლისი. ამ დღეს მწირველი იყო სიღნაღის მთავარ ანგელოზის ეკკლესიაში თვით იუბილიარი დეკ. მ. ს. ბეგიევი. წირვაზედ მწყობრად გალობდა ორი გუნდი მგალობელთა. წირვის შემდეგ სამღვდელოება და საპატიო სტუმარნი, რომლებიც თანაუგრძნობდნენ საიუბილეო დღესასწაულს, გაემგზავრნენ იუბილიარის სახლში, სადაც, პარაკლისის გარდახდის შემდეგ, მიართვეს მას ჯვარი. აქვე რამდენმამე კაცმა სიტყვები წარმოსთქვა, რომლებშიაც აღნიშნული იყო იუბილიარის ღვაწლი. მამა დეკანოზმა ყველას შესაფერისი სიტყვით უპასუხა.

*** როგორც გუწყით, ხორცის ნიხრი შემცირებულ იქმნა 7 კაპეიკამდე. რაც შეეხება პურის ნიხრს, ეს ნიხრი ჯერ ისევ შეუცვლელი რჩება, თუმცა წელს პური ყველგან ბლომად მოვიდა.

*** ყარსის რკინის გზის მატარებლები გადიან ტფილისიდგან ყარსამდე სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შუადღის 12 საათსა და 44 წ. წესიერი მიმოსვლა ამ გზაზედ დაიწყება არა უადრეს ოქტომბრის თვისა.

*** პოლიციის მე-3 და მე-5 ნაწილებში ადგილობრივი ბოქაულები ქალაქის მკურნალთ გედევანიშვილსა და მაღალაშვილთან ერთად ათვალიერებენ საყასბოებსა და ხილის დუქნებს, სადაც მრავალი უვარგისი ბოსტნეულობა აღმოაჩინეს, რომელიც კიდეც მოსპეს.

*** რადგან ზოგიერთი სასტუმროს პატრონები თავიანთის სასტუმროს გახსნის უფლებას იჯარით გადასცემენ ხოლმე საეჭვო ყოფა-ქცევის კაცთ, ამის გამო ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშ. აღმასრულებელმა წინადადება მისცა ბოქაულებს, წარმომიდგინეთ ერთის კვირის განმავლობაში ყველა სასტუმროს პატრონთა სიები და შეამოწმეთ, თვითონ პატრონები ინახავენ სასტუმროებს, თუ თავიანთი უფლება მათ სხვათათვის გარდაუციათო.

## წერილი სამეგრელოდგან

ს. ლესიჭინეში (ზუგდიდის მაზრა) არსებობს აბრეშუმის საფეიქრო, რომელიც 1860 წელში ადგილობრივ მცხოვრებს, აწ უკვე განსვენებულს ბასა სიჭინავას გაუმართავს. ამ საფეიქროში ყოველ წლობით ახვევდა ის 70—80 ფუთამდე აბრეშუმს და ჰგზავნიდა საზღვარ გარეთ გასასყიდათ, განსაკუთრებით მარსელსა და ლიონში. ეს იყო პირველი სააბრეშუმო საფეიქრო მთელ ქუთაისის გუბერნიაში და, თუ არა ვცდები, მხოლოდ ამ სამის წლის წინად დაარსდა ასეთივე საფეიქრო დ. ხონში. როგორც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადმომცეს, პირველად ბასა სიჭინავას დაუწყია სამეგრელოში აბრეშუმით ვაჭრობა და მას გაუვრცელებია აქ მეაბრეშუმეობა. 1882 და 1887 წლებში იმას გაუგზავნია მოსკოვისა და ხარკოვის სამეურნეო გამოფენებზე აბრეშუმისა და პარკის ნიმუშები და გამოფენის გამგე კომიტეტს დაუჯილდოვებია იგი საუკეთესო თვისების ექსპონატთა გამოგზავნისთვის და მთელს იმერეთში ერთად ერთი სააბრეშუმო საფეიქროს დაარსებისათვის ვერცხლის მედლით, დიპლომით და ქების ფურცლით. იგი ყოველ წლივ იწერდა აბრეშუმის თესლს საზღვარ-გარეთიდგან და ურიგებდა სამეგრელოს ხალხს: ამასთანავე დაწვრილებითი დარიგებას აძლევდა ხალხს ყაჭის მოვლა მოშენების შესახებ, შემდეგ თითონვე ყიდულობდა აბრეშუმის პარკს საკუთარის თანხით, ანუ საამხანაგოთ აბრეშუმის რომელსამე მსხვილ მოვაჭრესაგან და ერთს ნაწილს პარკისას ახვევდა აბრეშუმად თავისს საფეიქროში, ხოლო მეორეს ახმობდა, არჩევდა სხვა-და-სხვა ხარისხებად დ ფერადებად და ამ გვარად შემუშავებულ აბრეშუმს ან გამხმარ პარკს ჰგზავნიდა გასასყიდად საზღვარ-გარეთ. სამეგრელოს ხალხს დროს განმავლობაში ისე კარგად შეუსწავლია ყაჭის მოვლა ბასა სიჭინავას წყალობით, რომ იგი დღეს არ ჩამოუვარდება ამ ხელობაში ევროპიულად გაწვრთნილ აბრეშუმის მოხელეს, და ისე შეჩვევია ამ ხელობას, რომ დღეს სამეგრელოში ყველა მეაბრეშუმეობას მისდევს. ამ უკანასკნელ წლებში მაინც პარკს არა ჩვეულებრივი ფასები ჰქონდა, რამაც საშინლად წააქეზა ხალხი და ერთი ორად დაამუყაითა პარკის წარმოებაში. ასე რომ დღეს, როგორც ლესიჭინეში, ეგრეთვე მთელ სამეგრელოში, ვერა ჰნახავთ ისეთ ოჯახს, რომ აბრეშუმის პარკს არ იწევდეს. მთელის ორის თვის განმავლობაში, ე. ი. აპრილსა და მაისში, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, გაფაციცებით და თავგამოდებით უვლის ყაჭს, რომ ბევრი და კარგი მოსავალი ჰქონდეს.

ბასა სიჭინავას სიკვდილის შემდეგ, მისი შვილები უფრო მხნედ შესდგომიან აბრეშუმის ხელობას, უფრო გაუფართოვებიათ და გაუუმჯობესებიათ აბრეშუმის წარმოება. აგერ 8—9 წელიწადია, რაც ისინი ნისიად ურიგებენ ხალხს ლესიჭინესა და მის ახლო-მახლო სოფლებში პასტერის მეთოდით მომზადებულ ევროპის სხვა-და-სხვა ფირმების საუკეთესო აბრეშუმის თესლს, და არა ყოფილა ჯერ ისეთი მაგალითი, რომ მათ მიერ დარიგებული თესლი გაფუჭებულიყოს და მის მომვლელისთვის კარგი მოსავალი არ მიეცეს. ესენი ყოველ წლივ ჰყიდულობენ 1500—2000 ფუთამდე ნედლ პარკს, განსაკუთრებით მათ მიერ დარიგებულ თესლის მოსავალს, და ყიდვის დროს იღებენ პარკების მოტანითაგან განისიებულ თესლის ფასებს. როგორც ყველგან, აქაც მოხდება ხოლმე, რომ ბევრი სხვაგან ჰყიდის მათ მიერ აღებულს თესლის მოსავალს, რის გამოც სიჭინავები ხშირად ჰზარალობენ.

შარშან სიჭინავები ოთხ ალაგას ყიდულობდნენ პარკს და ფუთში 15 მანეთს აძლევდნენ, ე. ი. ისეთ ფასს, როგორსაც ლანჩხუთსა, აბაშასა დ სხვა პარკის სავაჭრო მთავარ ადგილებში აძლევდნენ. წლეულსაც ისინი სამ ალაგას ჰყიდულობდნენ, 2000 ფუთამდე იყიდეს პარკი და თავიდგანვე 13 მანეთს აძლევდნენ, მხოლოდ ბოლოს სამ-ოთხ დღეს 11 და 10 მანეთამდე ჩამოვიდნენ. ძმათა სიჭინავებს აქვთ ყოველივე მოწყობილება პარკისათვის: პარკის საწყობი ოთხი ვეებერთელა შენობა, ორი მანქანა პარკში პეპლების გამოსარჩობად, დაქირავებული ჰყავთ 60-დე

---

ბელია, უნდა ხელში ჰქონოდა აბიათარ მღდელს.

თვით წმ. ნინოს საქართველოში მოსვლის კავშირი უნდა ჰქონდეს აქაურ ურიების იერუსალიმს მიწერ-მოწერასთან. წმ. ნინოს ბიძას იქ დიდი ადგილი ეჭირა. მისი დედმამაც იქვე გლახაკებს ემსახურებოდნენ. თვით ნინოც იქვე კარგა ხანს იყო და ურიული ენა უეჭველად ეცოდინებოდა, რაც მტკიცდება მით' რომ იგი ურბნისს მოსვლისავე უმალ დადგა „უბანსა ჰურიათასა ენისათვის ებრაელებრისა“. შემდეგ მცხეთას რომ მოვიდა, ეცადა დაახლოვებოდა ურიათა მღვდელსვე, აბიათარს და ისე მოეწყო საქმე, რომ ჯერ ეს მღვდელი მოენადირებინა და მერე მისის შემწეობით (უკეთ ვსთქვათ, მისის წიგნების საფუძვლით) მოექცია თვით მეფეც. სჩანს, აბიათარი გავლენიანი კაცი ყოფილა მცხეთაში და მეფის ნაცნობიც და მისი ენაც სცოდნია, რომ ბასთან სარწმუნოებრივს მსჯელობაში შესულა.

თვით წმ. ნინოს, როგორც სჩანს მისის ქადაგებიდამ (იხ. ჩვენი Исторія груз. церкви), თითქმის ზედ მიწევნით სცოდნია მთელი ძველი აღთქმა. და ან რა დასაჯერებელია, ისეთი ღვთიური ადამიანი, როგორიც წმ. ნინოა, მოსულიყო ქვეყნის მოსაქცევად და მოსაქცევი იარაღი—ძველი აღთქმა და ოთხთავი კი არ შეესწავლა. და რომ ყოველივე ეს მან იცოდა, მტკიცდება მისივე სიტყვით: იერუსალიმში რომ ვიყავ, ბიძა ჩემმა მიმაბარა ერთ ქალს: „არავინ ყოფილიყო, არცა იყო შორის იერუსალიმსა ზოგა მისა მეცნიერებითა შჯულისა გზასა ძუელსა და ახალსა ყოველსავე“, ასრე ახასიათებს წმიდანი თავის მასწავლებელს (გვ. 9).

რომ წმ. ნინომ დაწერილი ოთხთავი (სახარება) მოიტანა საქართველოში, ეს, ჩემის ფიქრით, საეჭო არ უნდა იყოს.

„ქართლის ცხოვრებაში“ და „მოქცევაჲ-ქართლისაში“ სწერია, რომ წმ. ნინოს მოტანილ წიგნში ესა და ეს „მუხლები“ იყოო. „მუხლები“, როგორც აღმოჩნდა, სახარების სიტყვები ყოფილა (იხ. ჩვენი Истор. груз. церкви, გვ. 64—65).

მირიანს რომ მზე დაუბნელდა და „მის გამო“ ირწმუნა ქრისტე, მცხეთაში დაბრუნდა. ამ დროს ნინო „დადგრომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა ჩვეულებისამებრ მაყვლოვანსა შინა და ჩვენ მისთანა ორმოცდაათი სული“. მეფემ იკითხა: „სადა არს დედაკაცი იგი, რომელ არს დედაჲ ჩემი და ღმერთი მისი მხსნელი ჩემი? მოახსენეს: „აქა მაყლოვანსა შინა არს და ილოცავს“.

რომელ ენაზე ილოცავდა 50 სულთან ერთად? რა და რა ლოცვებს ამბობდა მწუხრისას? ნუ თუ მას არ უნდა სცოდნოდა „ლოცვა ლოცვათა“, რომელიც თვით უფალმა მოსცა თვის მოწაფეებს? განა წმიდანი უფლის ლოცვას და სხვა საგალობლებს თავის ახალნერგ სამწყსოს არ დაასწავლიდა მათს გასაგებ ენაზედ? ეს უეჭველია, უამისოდ იგი ვერას გაარიგებდა. კვალად მოიხსენეთ აქ ზემო აღნიშნული სიტყვები: „აღესრულა ყოველივე, რომელ აწ ვიც ით ნინოს მიერ ქვანგელთაგან ქრისტეს-მიერ“ (გვ. 33). ცხადია, წმ. ნინო სახარებიდამ ასწავლიდა მორწმუნეთ ქრისტეს ამბებს, მის იგავებს, მისს სასწაულებს.

აქვე ჩავურთავ წმ. ნინოის და წმ. მირიანის ლოცვებს. *).

ნინოს ლოცვა არმაზის შესამუსრავად.

უფალო, უფალო, მრავლითა ძალითა შენითა გეცრუვნენ შენ მტერნი ესე; დ ესე არს დიდითა სულგრძელებითა შენითა და იქმან, რასაცა იგონებენ მტვერნი ესე და ნაცარნი ქვეყანისანი; არამედ ნუ უგულებელს ჰყოფ, რამეთუ ხატი შენი არს კაცი, რომლისათვის ერთი სამებისაგანი კაცი იქმენ და აცხოვნენ ყოველი სოფელი; ამათცა ნათესავთა მოხედენ და შეჰრისხენ სულთა უჩინოთა, სოფლის მპყრობელთა, მთავართა ამის ბნელისათა, და მიჩვენე, მე ღმერთო, მამისა და დედისა ჩემისაო, მხევალსა ამას, ნაშობსა მოხისა შენისასა, რათა იხილონ მაცხოვარებაჲ შენი ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა; და რათა ჩრდილოჲ ბღვარსა თანა იხარებდეს და ყოველძან ენამან შენ მხოლოსა ღმერთსა თაყვანის გცეს ქრისტე იესოჲს მიერ, ღუთისა ჩვენისა, რომელსა ჰშვენის მადლობით დიდების შეწირვაჲ აწ, და მარადის, და მერმეთა მათ საუკუნეთა. ამინ.

მისივე ლოცვა მაყლოვანსა ზედა ტაძრის აგების გამო.

კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოავლინა სიტყვაჲ წმიდაჲ მისი, ცათა მაღალთაჲთ თვით ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქვეყანად მდაბლად, უეჭველად შობად კორციელად თესლისაგან დავითისა, დედა-კაცისაგან მარტოდ შობილისა, წმიდისაგან და უბიწოისა, რომელი სათნო ეყო მას და ამით მიზეზითა ცხოვრებაჲ ჩვენი შექმნა და ყოველი ცასა ქვეშე მყოფი განანათლა და უმეტეს მისა მიმართ მორწმუნენი აცხოვნნა, რამეთუ იშვა ვითარცა კაცი, პატივეცა ვითარცა ღმერთსა, ნათელიღო ვითარცა მსახურმან ვინმე შჯულისამან წყლისა დ მიწისაგან; ხოლო მამით და სულით წმიდით ზეგარდამო იწამა და იდიდა, ჯუარს ეცუა, დაეფლა და ადგა, ავიდა მათვე სიმაღლეთა მამისათანა, და მომავალ არს დიდებითა, რომელსა შვენის გალობაჲ ამენითა.

ლოცვა წმ. მირიანისა პატიოსანის ჯვრის ამაღლების გამო.

უფალო იესო ქრისტე, რომელი გვრწამ ტყვისა ამის მიერ და გვასწავეს მღვდელთა ამათ შენთა, შენ იესო ქრისტე, რომელმან თავი თვისი დაიმდაბლე და ხატი მონებისაჲ შთაიცვ სიმდაბლითა შენითა, რომელი გარდმოხვედ კურთხეულთაგან წიაღთა მამისათა, რომელძან დაუტევებ ჩვენთვის საყდარნი, უფლებანი და ძალნი და დაემკვიდრე საშოსა წმიდისა ქალწულისასა, და მერმე ჯვარს ეცვ პონტოელისა პილატესზე, დაეფალ გულსა ქვეყანისასა და მესამესა დღესა აღდეგ, და აღასრულე თქმული წინასწარმეტყველთაჲ, აღჰმაღლდი ზეცად და დაჰჯედ მარჯვენით მამისა, და მერმე მოსვლად ხარ განსჯად ცხოველთა და მკვდართა, და დაგვიტევენ ჩვენ ნიში ჯვრისა შენისაჲ დასარღვეველად უხილავთა მანქაებათა მტერისათა, ხოლო ჩვენ მოშიშთა შენთა მოგვიღებიეს სასწაულად, რათა განვერნეთ პირსა ეშმაკისასა, რომლისგანცა წარწყმედულ ვიყვენით. ხოლო აწ, შენ უფალო ღმერთო მაცხოვარო ჩვენო, ინებე გამოცხადებაჲ ადგილისაჲ, რომელსა აღვმართოთ ნიში ჯვრისა შენისაჲ, რათა იხილონ მოძულეთა ჩვენთა და ჰრცხვენოდის, რამეთუ შენ უფალი შემეწიე ჩვენ და ნუგეშინის მეც ჩვენ.

აქ, მეტადრე წმ. მირიანის ლოცვაში, მოთავსებულია (მოკლედ) სიმბოლოს შინაარსი. თუ ეს ლოცვა თვით მირიანის დროს არ ყოფილიყო შედგენილი, მერმინდელი დროის ავქსონი რად არ გაიმეორებდა სრულს სიმბოლოს, რომელიც, როგორც ვიცით, შეადგინა მეექვსე მსოფლიო კრებამ (680 წ.)

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. ჩვენი წიგნი Исторія грузинской церкви (დამატება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის გოგო, რომელნიც არჩევენ პარკს ხარისხებად, შემდეგ ფერადებად, მზიან და ქარიან დღეებში გამოაქვთ საწყობებიდგან გარეთ მინდორზე გასახმობად და სხ.

1897 წელში ერთი ძმა, ბ-ნი ს. სიჭინავა, საფრანგეთში წასულა, სადაც მას ორი წელიწადი დაუყვია და აბრეშუმის თესლის დამზადება შეუსწავლია. მომავალ წლიდან ბ-ნი ს. სიჭინავა აპირებს საკუთრად თესლისთვის ახალის შენობის აგებას, სადაც იგი პასტერის მეთოდით აბრეშუმის თესლს დაამზადებს, რომ დღეის იქით მას შეეძლოს ყოველ წლივ დაურიგოს ხალხს საღი თესლი.

ი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ქვემო-ხოდაშენი, (კახეთი). ღმერთმა ყველა სოფელი დაიფაროს იმ ღრმა ძილისაგან, რომელშიაც ჩვენი ხოდაშენია. თუმცა წინანდელმა ეს სოფელი შესძრა, მაგრამ გამოღვიძებამდის ჯერ კიდევ ბევრი უკლია. სხვა რომ არა ვთქვათ რა, სოფელში ორას კომლზედ მეტი მცხოვრებელია და ერთი სკოლაც არ მოეპოვებათ. არამცთუ სკოლა არა აქვს სოფელს, იმისი სახელის გაგებაც-კი რაღაცა შიშის ზარს დასცემთ ხოლმე. რაც გინდა უთხარით აქაურს გლეხს, ოღონდ სკოლის დაარსებისას კი ნურას გაიგონებ... სკოლა არ გვინდა, არაო.. გაიძახის ყველა. თუმცა ისეც-კი უნდა ვთქვათ, რომ არც აქაური თავად-აზნაურობა არის მოწადინებული, თორემ არც ისე გაჭირდებოდა, რომ ამოდენა სოფელს სკოლა არა ჰქონოდა. აქა სცხოვრობს ერთი თავადი და რამდენიმე კომლი აზნაურობა, რომლებსაც საკმარისად აქვთ მამულები. ამათგანს ერთ-ერთს რომ სასკოლო ადგილი დაეთმო, დანარჩენებს სხვა გვარი შემწეობა აღმოეჩინა, მაშინ გლეხებიც გამხნევდებოდნენ და საშველი-შველო საქმეს თავს გამოაბამდნენ.

მაგრამ არა, კახელს არც თავადს და არც გლეხს სკოლის გამართვის სურვილი რო არა აქვს და არც გული შესტკივა ქვეყნის წარმატებისათვის, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, ვინც ცოტად მაინც იცნობს კახეთს. თუ კი საფოსტო გარდასასხადისათვის მთავრობა გლეხს უკანასკნელს ქვაბს უყიდის, რატო სოფლის სასარგებლოდ დასახელებულ სკოლისათვის ძალას არ მიიტანს სოფელზედ და არ დააარსებინებს ქვეყნის მხსნელს სკოლას, სწავლა-განათლების აკვანს.

ხოდაშენს მთელს კახეთთან ერთად სძინავს ღრმა ძილით და თუ ხანდახან გამოიღვიძებს ხოლმე, ისიც მხოლოდ იმიტომ რომ ნამდვილი კახური დალიოს, შუბლი გაიცხელოს, გაბრუვდეს, დაივიწყოს თავისი ბედშაობა და მერე ისევ მიწვეს დასაძინებლად...

იმედია, მალე რკინის გზა გამოივლის კახეთზედ წივილ-კივილით. ჩვენი ერთად ერთი იმედი ისღაა. თუ იმანაც ვერ ჩააგდო გონებაში კახეთი, მაშინ კი მშვიდობით დედულ-მამულო, „მშვენიერო ჩვენო კახეთო“.

სწორედ იმ დიდ მნიშვნელოვან დღისათვის, როდესაც პირველად გამოიწივლებს მატარებელი, უნდა მოემზადოს მთელ კახეთთან ერთად ხოდაშენიც, თორემ მერე გვიან და იქნება. დრო საქმეს შეუდგეთ, ვინაიდგან მოახლოვებულ არს განკითხვის დღე!..

წელს ხოდაშენში ყურძნის მოსავალი ძალიან თხელი იყო. სიმინდების იმედი გვქონდა, მაგრამ ამ გვალვამ ისე ამოახმო, რომ თითო გოდორსაც ვერ გამოვრჩით. დავრჩით მარტო ღვინის სინანარს. თუმცა გაზაფხულზედ სეტყვამ გადმოგვკრა, თუმცა გვალვამ ვენახებიც ძალიან შეაწუხა, მაგრამ მაინც კარგად ასხია, თუ ბუნებამ გვიბრალა და ის მაინც გადაგვირჩინა, რაც ასხია,—წელიწადს როგორც იქნება გავათრევთ.

გ—რი.

## რუსეთი

პროვინციებში მეაბრეშუმეობის მცოდნე ოსტატების გასავრცელებლად რუსეთის მეაბრეშუმეობის საზოგადოებამ გადასწყვიტა დააარსოს სამოსწავლო სახელოსნოები მეაბრეშუმეობაში სახმარ საგნების მოსამზადების სასწავლად.

— ამა წლის შემოდგომაზედ სათანადო დაწესებულებანი განიხილავენ შემდეგს საგანს: სავალდებულო შეიქმნას, რომ ქარხნებთან, სადაც 1,200-ზედ მეტი მუშა არის, დაარსდეს დაბალი სატეხნიკო სკოლები მუშათა შვილებისათვის. სწავლა ამ სკოლებში უფასოდ იქმნება.

— როგორც ისმის, ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს სასტიკ კონტროლს დაუქვემდებაროს სწავლა კერძო საკომერციო სასწავლებლებში.

— უცხო ქვეყნებში ნავთის გაზიდვის გასაძლიერებლად, რუსეთის ნავთის მწარმოებელთ განზრახვა აქვთ გამართონ თავიანთი საკუთარი დიდი ფლოტი; ამასთან ფინანსთა სამინისტროს ფულით დახმარებასა სთხოვენ ამ საქმეში.

— გამოქვეყნებულია ახალი დებულება საელექტრო ტეხნიკო ინსტიტუტის გადაკეთების შესახებ. სწავლის ვადა ინსტიტუტში 5 წელიწადია. ყველა მოსწავლეთა რიცხვი უდრის 300-ს. საუკეთესო მოსწავლეთათვის დაარსებულია 50 სტიპენდია, თითო—300 მან. ინსტიტუტში სწავლა-დამთავრებულთ მიეცემათ 1-ლ და მე-2 ხარისხის ინჟინერ-ელექტრიკთა წოდება.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** როგორც ვიცით, თავდაპირველად დრეიფუსის საქმის გამოძიება პატი-დე-კლამს ჰქონდა მინდობილი. როცა საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დრეიფუსის საქმე ხელ ახლა უნდა იქმნას გარჩეული, პატი-დე-კლამზე სამხედრო მინისტრმა ეჭვი აიღო, რომ ხსენებულ საქმის გამოძიება კანონიერად არ უწარმოებიაო, და გამოძიება დანიშნა მის წინააღმდეგ. გამომძიებელმა უეცრად დააპატიმრა პატი-დე კლამი და საქმის გამოძიებას შეუდგა. მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ პატი-დე-კლამი განთავისუფლებულ იქმნა სატუსაღოდგან და გამოძიებაც მოისპო მის წინააღმდეგ. როგორც იუწყებიან, პატი-დე-კლამს დაუმტკიცებია, რომ ესტერგაზის განთავისუფლებას ჩემის უფროსების ბრძანებით ვცდილობდიო, რომელნიც მარწმუნებდნენ, რომ ამას თხოულობს საფრანგეთის უმაღლესი ინტერესებიო. გაზეთებში დაბეჭდილია პატი-დე-კლამის ჩვენება საკასაციო სასამართლოში, სადაც ის აგრეთვე ბრალსა სდებს გენერლებს ბუადეფრს და გონზს—იმათი შთაგონებით ვცდილობდი ესტერგაზისათვის თავიდგან ამეშორებინა ბრალდებაო. ერთს ადგილას თავისს ჩვენებაში ამბობს პატი-დე კლამი, რომ გენერალმა ბუადეფრმა იცოდა, რა დამოკიდებულება ჰქონდა ესტერგაზთანაო. რამდენიმე გაზეთი იმ აზრის არის, რომ პატი-დე-კლამის წინააღმდეგ გამოძიების მოსპობას მოჰყვება გამოძიება გენერლების ბუადეფრისა და გონზის წინააღმდეგო.

— ამ რამდენისამე დღის წინად დერულედმა პარიჟში სიტყვა წარმოსთქვა დრეიფუსის საქმის გარჩევის შესახებ რენის სამხედრო სასამართლოში. „ჩვენ ქუდს მოვიხდით სასამართლოს განაჩენის წინაშე,—სთქვა ორატორმა,—მაგრამ მხოლოდ ერთის პირობით: განაჩენი დამყარებული უნდა იყოს უტყუარსა და ყველასათვის თვალსაჩინო საბუთებზე, რომ დრეიფუსს არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვის. საკმარისი არ არის დაამტკიცონ, რომ შეცდომა შესაძლებელი იყო,—საჭიროა დაამტკიცონ, რომ მართლა მოხდა შეცდომა. მე რომ რენის სამხედრო სასამართლოს წევრი ვიყო და პირდაპირის და შეურყეველის საბუთებით ვერ დამიმტკიცონ დრეიფუსის უდანაშაულობა, არაფრის გულისათვის არ გავამართლებდი მას,—ვერაფერი ვერ მაიძულებდა, ვერც ომის შიში და ვერც სხვა რამე. მას შემდეგ, რაც მოხდა უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, ათასჯერ უნდა დაამტკიცონ დრეიფუსის უდანაშაულობა, რათა საფრანგეთს უფლება არა ჰქონდეს დანაშაულად ჩასთვალოს იგიო“.

**ბოლგარია.** გაზეთებში დაბეჭდილია სტამბულოვის დასის მთავარ კომიტეტის ცირკულიარი, რომელზედაც ხელი უწერია დასის მოთავეს პეტკოვს. ამ ცირკულიარში გამოცხადებულია, რომ სტამბულოვის დასმა კავშირი უნდა გასწყვიტოს მთავრობასთან და დამოუკიდებელ მოქმედებას უნდა შეუდგესო.

ამ გარდაწყვეტილებას პრაქტიკული მნიშვნელობა მაშინ ექნებოდა, საფინანსო პროექტის შეწყნარებამდე რომ ოფიციალურ გამოცხადებული; ეხლა-კი შემოდგომის დამდეგამდე არ ექნება მას პოლიტიკაზე გავლენა, რადგან იმაზედ ადრე შეიკრიბება ბოლგარიის პარლამენტი. როგორც ამბობენ, მთავრობისა და სტამბულოვის დასების ერთმანეთთან განხეთქილების მიზეზი ის იყო, რომ უკანასკნელებმა მოითხოვეს,—ორი მინისტრის ადგილი მაინც გვებოძოს კაბინეტშიო.

**ინგლისი.** ლორდ როზბერიმ ეპსომში სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც შეაქო ინგლისურ აღზრდის წესრიგი. ინგლისის სკოლებიო, სთქვა მან, პირველი სკოლებია ქვეყანაზედ, რადგან ამ სკოლებს უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვთ სიმამაცისა და ენერგიის განვითარებაზე, რის მეოხებით ძლიერსა და მხნე ყმაწვილებს ზრდის ცხოვრებასთან საბრძოლველადაო. თვითოეული ინგლისელი აღმერთებს სიმამაცეს და ენერგიას და დიდ პატივსა სცემს ამ თვისებათ სხვებშიაც. სიტყვა როზბერიმ იმით დაამთავრა, რომ შექო სიმამაცე მაიორის მარშანისა, რომელსაც ის შესაფერ პატივსა სცემს, თუმცა მარშანს ინგლისელებთან შეტაკება მოუხდა.

**ოსმალეთი.** ოსმალეთის ახალ პოლიტიკურ დასის ახალ შეთქმულების შესახებ ხმების გავრცელების გამო კონსტანტინოპოლიდგან „Berliner Tageblatt“-ს სწერენ: „ერთს ადგილას ცეცხლის წაკიდების დროს ჰპოვეს მრავალი სამხედრო სურსათი და იარაღები. დატუსაღებულ იქმნენ სახლის მდგმურები და, სხვათა შორის, ერთი აფიცერიც. ყველა ისინი უარ-ჰყოფენ თავიანთ დანაშაულობას. ძნელი გადასაწყვეტია: ეს დავიწყებული საწყობია, რომლითაც ვერ უსარგებლიათ, თუ ეს საწყობი ახალ შეთქმულობას ამტკიცებს. რამდენიმე კაცი მაინც შეაპყრეს. საწყობის აღმოჩენას უკავშირებენ საზღვარ-გარეთის იმ ამბავს, რომ ოსმალეთის ახალი პოლიტიკური დასი შეთქმულობას ჰმართავდა სულით ავადმყოფ მურადის სასარგებლოდაო, მით უმეტეს, რომ საწყობი მურადის საცხოვრებელ ადგილის მახლობლად აღმოჩნდაო.

**შეერთებული შტატები.** ამას წინად ადმირალმა დევეიმ ავსტრიის ქალაქ ტრიესტში, სადაც ის სააგარაკოდ მივიდა, განაცხადა, უმახლობელესი ომი, რომელიც ამერიკას დასჭირდება, იქმნება ომი გერმანიასთანაო. ამ განცხადებამ დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია ორსავე სახელმწიფოში. ამ ჟამად ამერიკის გაზეთები უარ-ჰყოფენ, ვითომც დევეის ასეთი აზრი გამოეთქვას „Herald“-ის თანამშრომელთან. სამხედრო მინისტრმა გეიმაც-კი დაუყოვნებლივ განაცხადა, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ დევეი ვერ წარმოსთქვამდა ასეთ სიტყვებსაო. ეხლა გაზ. „World“-ის დეპეშა მიუღია, რომელიც იუწყება, რომ დევეიმ თვითონ სიცრუე უწოდა „Herald“-ის მიერ გამოცემულ ამბავსაო.

## დამაკვირდი

შური ტანსა დაასნეულებს, მალსა მოუღებს: საჭამადი არა მოუნდების, ბუნებასა გარყვნის, შეზავებულებასა დაუშლის.

ფილოსოფ. პლატონ

* * *

ფუტკარი მწარედ იკბინება, გარნა ტკბილს გოლვილს გიკეთებს; ორპირი კაცი-კი პირში გიცინის და პირს უკან-კი ღრმა ორმოს გითხრის.

ლასურიძე

* * *

ტრფიალება არს ბოროტი გულის თქმაჲ, მომკვლელი თავისა, ჭოჭოხეთის შთამთქმელი სულისა.

საეკლ. მუზ. № 153

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შესანიშნავს ედისონსა და იმის ახალგაზრდა ოც-და-სამის წლის შვილს, როგორც ამერიკული გაზეთები იუწყებიან, დიდი ლაპარაკი და შეტაკება მოსვლიათ. ამ შეტაკების მიზეზი ისა ყოფილა, რომ ახალგაზრდა ედისონს ცოლად არტისტი ქალი შეურთავს, მამა-კი წინააღმდეგი ყოფილა ამისა. ეხლა შვილი ცალკე სცხოვრობს თურმე. კარგა ხანია ახალგაზრდა ედისონიც მამის კვალს დაადგა და იმასავით ელექტრონის გამოკვლევას და სხვა-და-სხვა მანქანების გამოგონებას შეუდგა. გაზეთები ერთხმად გაიძახიან, რომ შვილი მამასებრ დიდ ნიჭსა და უნარს იჩენსო. აი რა უთქვამს ედისონის შვილს ერთის ჟურნალისტისათვის: „მე განვშორდი მამა-ჩემს და ვცდილობ იმის კონკურენტი გავხდე. ადვიზარდე-რა მამი-ჩემის ლაბარატორიაში, მე განვიზრახე განვაგრძო იმის მიერ დაწყებული საქმე. უკვე რამდენიმე ჩემ მიერ გამოგონილი მანქანა მაქვს. ამასთან საჭიროდ ვრაცხ განვაცხადო, რომ რაც ვიცი და რაც შევისწავლე, სულ მამი-ჩემის წყალობით და იმის ხელმძღვანელობით. ხოლო ეხლა თუ უძრახები ვართ, ამის მიზეზი, როგორც უწყით, ჩემი ქორწინებაა. მამა ჩემს არტისტები არ უყვარს და უკვირს, კაცმა არტისტი ქალი როგორ უნდა შეირთოს ცოლადაო“.

* * *

ამას წინად ვალიადოლიდში (ესპანიაშია) დიდი არეულობები მოხდა. ამ არეულობის გამო ბევრს ლაპარაკობდნენ და ბევრს სწერდნენ მთელს ესპანიაში. უმრავლესობას ეგონა, რომ არეულობანი პოლიტიკურმა მიზეზებმა გამოიწვიაო, მაგრამ, როგორც ეხლა გამოირკვა, ნამდვილი მიზეზი ამ არეულობისა ყოფილა ერთის წარჩინებულის მოხელის მეტად ლამაზი და თვალ-წარმტაცი, მაგრამ, როგორც ევას ყველა სხვა შთამომავალი, კეკლუცი და დაუდგრომელი ქალი. ეს ქალი გატაცებით შეჰყვარებია ვალიადოლიდის უნივერსიტეტის ერთს სტუდენტს. ქალი პირველ ხანს მეტად თანაგრძნობით ექცეოდა თურმე შეყვარებულ სტუდენტს, მაგრამ შემდეგ პირი უბრუნებია და იმის ნაცვლად თავისს გულის სატრფოდ ვალიადოლიდის კავალერისტთა სკოლის კადეტი გაუხდია. რასაკვირველია, ეს ამბავი არაფრად ესიამოვნებოდა შეყვარებულ სტუდენტს, და აი სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ეს მისთვის სამწუხარო ამბავი შეუტყვია, შემთხვევით შეხვედრია რა თავისს მეტოქე კადეტს, აღარც აცდია, აღარც დაუღია და თავისს ამხანაგების შემწეობით შიგ შუა ქუჩაში ლაზათიანად და მადიანად მიუქექნია იგი. შედეგად ამ ჩხუბს უნივერსიტეტის სტუდენტების და კადეტების გადაკიდება და მტრობა მოჰყოლია. სტუდენტები და კადეტები ერთმანეთს დაეძებდნენ თურმე საცემად და ბევრი ძებნაც აღარ დასჭირებიათ, რადგან მეორე დღესვე შეჰხვედრიან ერთმანეთს და გაუმართავთ ხელჩართული კრივი. საბედნიეროდ პოლიცია იქვე ყოფილა და მალე გაუშველებია მოჩხუბარნი. მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა: მესამე დღესვე მთელი ბრბო სტუდენტებისა შეჰხვედრია ასეთსავე ბრბოს კადეტებისას. ამ ხანად ჩხუბი ნამდვილ ბრძოლად გადაქცეულა. როგორც სტუდენტები, აგრეთვე კადეტები წინ და წინვე შეიარაღებული ყოფილან ხმლებით, ჯოხებით, რევოლვერებით და სხვა „იარაღით“. ორსავე მხარეს „ბრძოლის ველზედ“ მრავალი დაჭრილი დაუტოვებია.

ამის შემდეგ მტრობა კადეტებსა და სტუდენტებს შორის უფრო გამწვავებულა. საქმეში მათ გარდა ქალაქის მცხოვრებთა რაოდენიმე ნაწილიც ჩარეულა და ერთს მშვენიერ დილას სტუდენტებს ამ მცხოვრებლებთან ერთად კადეტთა სკოლისთვის ალყა შემოურტყავთ. თუმცა პოლიციას და ჟანდარმებს ბრბო გაუფანტავთ, მაგრამ შემდეგ ბრძოლა მაინც მომხდარა, ბრძოლა უფრო სასტიკი და ძლიერი, რადგანაც კადეტებს აფიცრები მიშველებიან, ხოლო სტუდენტებს ქარხნებიდგან მომავალი მუშები. ამ შეტაკების დროს მრავალი კაცი დაჭრილა. ამით ჩხუბს ბოლო მაინც არ მოჰღებია. რამდენსამე დღის შემდეგ შეტაკება კიდევ მომხდარა ვალიადოლიდის ერთს უმთავრესს ქუჩაზედ კადეტებსა, მათ მომხრე აფიცრებსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტებს ცუდი დღე დაადგებოდათ, რომ მუშები არ მიშველებოდნენ და თავიანთის ღონიერის, მაგარის მუშტებით მრავალის აფიცრისა და კადეტისათვის გვერდები არ ჩაემტვრიათ. ეს შეტაკება იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ჟანდარმებსა და პოლიციას მთელის სამის საათის შემდეგ ძლივს გაუშველებიათ მოწინააღმდეგენი.

ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, კადეტები და სტუდენტები შერიგებულან და ამ რიგად ცხარე შეტაკებას ბოლო მოჰღებია.

## ღია წერილი „ცნობის ფურცლის“ რედაქციის მიმართ.

მოწყალეო ხელმწიფევ!

ამ წლის განმავლობაში აგერ მეხუთეჯერ ჰბეჭდავთ თქვენს გაზეთში ყოველ გვარ ჭორებს დ. ზესტაფონის უფასო წიგნთ-საცავისა და იმის გამგეების შესახებ. ა. ა—ძის სებურ კაცუნებმა ნვენის პირადობის შესახებ რაც უნდა დასწერონ, ჩვენ ეს დიდ უბედურებად არ მიგვაჩნია, მაგრამ ანგარიშის სისწორის შესახებ-კი ნურას უკაცრავად: სიცრუეს უთუოდ გამოაშკარავება უნდა! გაზ. „ივერიაში“ იბეჭდებოდა ამ წიგნთ-საცავის ანგარიშები. ყველას საბუთები ხელში გვაქვს და წევრსა და არა წევრს სურვილისამებრ ვაჩვენებთ. თქვენ, როგორც ყოველდღიურ გაზეთის რედაქტორი, ვალდებული ბრძანდებით ამ ანგარიშებს თვალი ადევნოთ და დაიხსომოთ, ან ჭორებისა და სიცრუის წრაზედ ხელი აიღოთ; თქმულის დასამტკიცებლად დაუპირდაპირეთ ერთმანეთს თქვენს გაზეთში დაბეჭდილი ა. ა—ძის კორესპონდენცია („ცნ. ფ.“ 99 წ. 26 ივნ.) და გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი წლიური ანგარიში წიგნთ-საცავისა. განა იქ ვალი არ არის გაცნხადებული? იქნება თქვენ აღარ გახსოვთ, თქვენ გაზეთში რას სწერდით ამ ა. ა—ძის შესახებ, თუ როგორ გამოჰხრა მან აქაური თეატრი, დღეს როგორ გააძევეს ის იქიდგან. მე კიდევ დავუმატებ, რომ ამ თქვენმა კორესპონდენტმა დაღუპა პირველი ბიბლიოთეკა, გასძვალა მეორე და თქვენ მიერ ნაძაგებ გამგეობას გადაახდევინა 50 მან. რაღაც ათი მანათის საღირალში, წინააღმდეგ შემთხვევაში გვემუქრებოდა ძველი წიგნთ-საცავის წიგნების გაყიდვას, რომელიც მას ებარა; გადაგვახდევინა 80 მან. ოთხის თვის ქირა ერთის პატარა ოთახისა და მეწიგნთ-საცავეობისათვის; წიგნთ-საცავში-კი კვირაში ერთხელ შეიხედავდა.

ანგარიშის სისწორის შესახებ მე თქვენ გამოგიგზავნეთ დასაბუთებული „დაზღვეული“ წერილი, იქვე 7 კ-ნი მარკა და გთხოვეთ სიმართლე აღგედგინათ იმ დაწესებულების შესახებ. თუ ჩემს პასუხს ვერ დაბეჭდავდით, გთხოვეთ, ჩემისავე მარკით უკანვე დაგებრუნებინათ ჩემი წერილი; იქვე განვაცხადე, რომ საცენზურო კომიტეტში უნდა წარვადგინო-მეთქი. მაგრამ თქვენ ჩემივე მარკით წერილი ვეღარ დამიბრუნეთ! მეორე ჯერაც გთხოვეთ კიდევ წერილით და ერთხელ ბ-ნ სევ. ჯუღელის პირითაც. რა ჰქვია ამ გვარ საქციელს, თქვენვე მიხვდით... ჩვენი პირველი და უკანასკნელი პასუხია ეს წერილი.

გამგეობის წევრი ვ. ჩხაიძე

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ივლისი.

**ხაბაროვსკი.** ხანკაუდგან იუწყებიან, რომ ქალაქ შანჯაუში პროტესტანტ და კათოლიკე ჩინელებს შორის დიდი შეტაკება მოხდაო. ტაოტაის ხანკაუდგან ჯარი გაუგზავნია.

**რენნი.** გენერლების ბუადერფის და როჟეს მოსვლის დროს, ისევე, როგორც ბილიოსა და გონზის მოსვლის დროს არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

**მადრიდი.** სამხედრო სასამართლო დღეს შეიკრიბა განაჩენის დასადგენად სანტ-იაგოს ამერიკელებისთვის გადაცემის საქმის გამო. ამბობენ, რომ გენერალი ტორალი გამართლებული იქნება, დანარჩენ გენერლებს პასუხის გებაში მისცემენო.

**კიევი.** მოვიდა აქ მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოებისა და მე-XI საარქეოლოგო კრების გამმართველ კომიტეტის თავმჯდომარე გრაფინია უვაროვისა. კრება დაიწყება 1 აგვისტოს და დასრულდება 20 აგვისტოს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** 25 ივლისს, საღამოთი, სორმოვში მუშათა შორის არეულობა მოხდა იმის გამო, რომ ქარხნის კანტორას იმ დღეს არ უნდოდა გასწორებოდა მუშებს და სამუშაო ფასი მიეცა. ქარხნის დირექტორმა გამოაცხადა, რომ 26 ივლისს გაგისწორდებითო, პოლიციამაც ზომები მიიღო მუშების დასაწყნარებლად, მაგრამ ისინი მაინც არ დაწყნარდნენ. ათას კაცამდე შეიკრიბა და მუქარა დაიწყო. მაშინ ეს ამბავი ტელეფონით შეატყობინეს გუბერნატორს, უნგერბერგერს, რომელმაც დაუყოვნებლივ ერთი ბატალიონი ჯარი საგანგებო მატარებლით გაგზავნა სორმოვში და თითონაც იქ წავიდა. ჯარის მოსვლისთანავე ბრბო დაიშალა და წესიერება აღდგენილ იქმნა. დირექტორის სადგომის, კანტორის, მომხმარებელთა მაღაზიაში და ქარხნის ზოგიერთ შენობაში ფანჯრები დამტვრეული აღმოჩნდა. ელექტრონის სადგურზე გაეფუჭებინათ მანქანები. რამდენიმე კაცი ქვით დაიჭრა. გენერალმა უნგერბერგერმა დაუყოვნებლივ განკარგულება მოახდინა ჯარების განაწილების შესახებ საქარხნო ქონების დასაცველად. აგრეთვე დანიშნულ იქმნენ ღამის დარაჯები. ამის შემდეგ არავითარი არეულობა აღარ მომხდარა. სორმოვში მოვიდნენ ჟანდარმთა უფროსი და ბრალმდებელი. გამოძიებას შეუდგნენ.

**პარიჟი.** „Matin“-ში იბეჭდება ესტერგაზის წერილი კარიერის მიმართ. ესტერგაზი აცხადებს, რომ რენში არ მოვალო.

**რენნი.** ქალაქში სრული მშვიდობიანობაა. ცოტაოდენი მოძრაობა ლიცეის გარეშემოა, სადაც ექვს საათზედ დრეიფუსი მიიყვანეს. ამბობენ, რომ 300 გაზეთის კორესპონდენტამდეა რენშიო. კორესპონდენტები საფრანგეთიდგან და საზღვარგარეთიდგან არიან მოსული. მოწმეებმა ბრბოში გაიარეს ლიცეის წინ. არავითარი ინცინდენტი არ მომხდარა. მხოლოდ მერსიესა და ცურლინდენს მიეგებნენ ყვირილით: „გაუმარჯოს ჯარსაო!“ და აგრეთვე პიკარსაც. კაზიმირ პერიემ ადგილი ბილიოსა და შანუანის შუა დაიჭირა, კრება დაიწყო 7 საათზედ. თავმჯდომარემ უბრძანა, დრეიფუსი შემოიყვანეთო. დრეიფუსი შემოვიდა. დარბაზში სრული სიჩუმე სუფევდა. დრეიფუსს კაპიტანის მუნდირი ეცვა; თავი მაღლა ეჭირა; თმა მაგდენად არა აქვს გაჭაღარავებული; ულვაშებში თეთრი გამორევია, გამხდარა კიდეც; როგორც ეტყობა, თავს კარგადა ჰგრძნობს. სამხედრო სალამი გადაიხადა რა, დრეიფუსი დაჯდა. მდივანმა წაიკითხა საკასაციო სასამართლოს მიერ 3 ივნისს დადგენილი განაჩენი, რომლითაც 1894 წლის განაჩენი დარღვეულ იქმნა. შემდეგ წაიკითხეს დ'ორმეტვილის მოხსენება, რომელიც 1894 წელს საბრალმდებლო ოქმად იქმნა მიღებული. სასამართლო შეუდგა მოწმეთა ჩამოთვლას. ესტერგაზი და პატი დე-კლამი არ გამოცხადდნენ. მომხსენებელმა კარიერმა განაცხა, რომ საიდუმლო საბუთების განხილვა ოთხ დღეს გასტანსო. თავმჯდომარემ ჩვენება ჩამოართვა დრეიფუსს: „თქვენ ღალატს გაბრალებენო“ — უთხრა მას. „მე ვამტკიცებ, რომ ღალატი არ ჩამიდენიავო, — უპასუხა დრეიფუსმა. — მე დამნაშავე არა ვარო, — სთქვა იმან შემდეგ თვალ-ცრემლიანმა, — და ხუთი წელიწადია, რაც ამას ვიმეორებ ჩემი შვილებისა და ჩემის პატიოსნების დასაცველადო. მე არა ვარ დამნაშავეო“. იმას ჰკითხეს მისი ბიუროში ყოფნის შესახებ გიდრო-პნევმატიურ ზარბაზნის გამოცდის დროს. იმან სთქვა, რომ ამაზედ მხოლოდ საზოგადო ცნობები მქონდავო და არაოდეს არ მინახავსო არც ისა, თუ როგორ ხმარობდნენ იმ ზარბაზანს, და არც ის, თუ როგორ ისროდნენო. თავმჯდომარემ ჰკითხა დრეიფუსს ბორდეროს შესახებ; დრეიფუსმა უარი ჰყო ყველა ფაქტი, რომლებსაც იმას აბრალებენ. როცა მას უჩვენეს ბორდერო, თავმჯდომარე შეეკითხა: ეს თქვენი ნაწარმოები ხომ არ არისო? — მან სრულიად უარი სთქვა ამის შესახებ. იმან განაცხადა, რომ სამჯერ ვიყავი გერმანიაშიო, მაგრამ არაოდეს არ მიდევნებია თვალ-ყური ელზასისათვის მალგაუზის არე-მარეშიო და გერმანიის აფიცრებთან არავითარი დამოკიდებულება არა მქონიავო. თავმჯდომარე შეეკითხა დრეიფუსს, რატომ გინდოდათ გაგეგოთ, თუ როგორია რობენის ყუმბარა და რატომ აძლევდით თქვენს ამხანაგებს საეჭვო კითხვებსო? დრეიფუსმა უარი ჰყო ერთიც და მეორეც. თავმჯდომარე გადავიდა იმ დღეზე, როცა დრეიფუსს ღირსება აჰყარეს. დრეიფუსი ამტკიცებდა, რომ ლებრენ-რენოსთან ისეთი არა მითქვამს-რა, საიდგანაც სჩანდეს, ვითომ მე რაშიმე გამოვტეხილიყვევო; არ მითქვამსო: „თუ მე საბუთის ქაღალდებს ვაძლევდი“... მხოლოდ ეს ვუთხარი ლებრენ-რენოს, მთელ ხალხის წინაშე ყვირილს ავტეხ, რომ დამნაშავე არა ვარ-მეთქი. დრეიფუსმა ამას დასძინა, რომ თუ იმას ვამბობდი, რომ ჩემი უდანაშაულობა სამი წლის შემდეგ გამოაშკარავდება-მეთქი, ეს იმიტომ, რომ მე მეუბნებოდნენ, — გარეშე პოლიტიკის შესახებ მოსაზრების გამო, ორ-სამ წელიწადზედ ადრე სიმართლე არ გამოაშკარავდებაო. ჩვენების ჩამორთმევა გათავდა. სასამართლომ დაადგინა, ხუთი ხმის უმეტესობით ორის წინააღმდეგ, ოთხი დღის განმავლობაში სხდომა გარეშე ხალხის დაუსწრებლად იქმნეს, რათა წაკითხულ იქმნას საიდუმლო საბუთის ქაღალდებიო.

27 ივლისი

**რენნი.** დრეიფუსი საპყრობილეში დაბრუნდა; არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. ქალაქში მშვიდობიანობაა და არც მანიფესტაციები ყოფილა.

**კაპ გაიტი.** რამდენმამე გენერალმა ხაუნ იზიდორ-ხიმენესის მხარი დაიჭირა და აიღო საპაჰატუ და გვანაპინი. თუ გუბერნატორს არ მიეშველნენ თავს ვერ გაიმაგრებს.

**პარიჟი.** გენერალი პიერრონი დანიშნულ იქმნა უმაღლესს სამხედრო საბჭოს წევრად ნეგრიეს ნაცვლად. ამასთან მე-7 კორპუსის უფროსადაც დატოვეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

დიდს მადლობას ვუძღვნი თავ. ვლადიმერ ნიკოლოზის ძეს წულუკიძეს, რომელმაც ორმოცდა-ათი მანეთი შემოსწირა გაბრიელ ეპისკოპოსის სამახსოვროდ დაარსებულ წიგნთ-საცავს.

ელენა ჯინოვისა



## განცხადებანი

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა ზარკელ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში** — წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში** — ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში** — მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში** — ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში** — თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—12) ნ. წერეთელი

ისყიდება ახალი წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ავტორთან ქ. სიღნაღში.

ОПЫТЪ
ГРУЗИНО-РУССКАГО
СЛОВАРЯ
дла начальныхъ училищъ
К. БАГАЕВА
ფასი 50 კ. (15—3)

**პეტერბურგის სამკურნალო გამგეობის** ნება-დართვით ისყიდება პროვიზორის შიხინოვისაგან გამოგონილი

ახალი მარგებელი სასმელი ყავა

ტფილისსა, გორსა, განჯასა, გუმბრსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა და სხვა ქალაქების ყველა საუკეთესო მაღაზიებში. (10—6.—9)



### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა თექვსმეტი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკან. (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 6 ვაკ. (8 და 9 წლის ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 56 ვაკანსიიდგან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ერთი საზოგადოების სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრითს თავად აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები. გარდა დამფუძნებელობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულნი იქმნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქმნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის, შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი შემოსვლისთანავე და ათი იანვარში,

9) თხოვნების შემოტან შეიძლება აგვისტოს 25-მდის ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской щколой на Лабораторной улицѣ въ д. Селикова.

10) აგვისტოს 26 და 27 რიცხვებში მოხდება ხელ-მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28—31 მისაღები ეგზამენები.

1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქნებიან მიღებული აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{99}/_{900}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს, როგორც ფულის თავისს დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც.

Дозволено цензурою, Тифлисъ 27-го Іюля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.